



**სს „საქართველოს კლინიკების“ (ს/ნ 404476205) მიერ შპს „გორმედზე“ (ს/ნ 417876711)
ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი
კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8¹ მუხლის, მე-16 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება სს „საქართველოს კლინიკების“ (ს/ნ 404476205) მიერ შპს „გორმედზე“ (ს/ნ 417876711) ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;
2. სს „საქართველოს კლინიკების“ (ს/ნ 404476205) მიერ შპს „გორმედზე“ (ს/ნ 417876711) ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს;
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;




5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე



გადაწყვეტილება

სს „საქართველოს კლინიკების“ (ს/ნ 404476205) მიერ შპს „გორმედზე“ (ს/ნ 417876711) ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2025 წლის 31 ოქტომბრის N01/6590 და 17 ნოემბრის N01/7061 წერილებით შემოვიდა შეტყობინება და დამაზუსტებელი წერილი სს „საქართველოს კლინიკებსა“ (ს/ნ 404476205) და შპს „გორმედს“ (ს/ნ 417876711) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის თაობაზე. სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და 2025 წლის 03 ნოემბრის კორესპონდენციით მხარის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.¹

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2024 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - მხარის მოსაზრება შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მოლოდინები კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ასევე, საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

შეტყობინებას დანართის სახით თან ახლდა:

- ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე პირთა 2024 წლის ერთობლივი შემოსავლების შესახებ;
- ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე პირთა ძირითადი მიმწოდებლებისა და შემსყიდველების შესახებ 2024 წლისათვის;
- ინფორმაცია ბაზრის განსაზღვრის მეთოდის შესახებ;
- კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შვილობილი კომპანიებისა და მათი ფილიალების სია;
- უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები;
- კონცენტრაციაში მონაწილე პირთა ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტების სია და შესაბამისი კავშირების ამსახველი დიაგრამები;

¹ 2025 წლის 03 ნოემბრის წერილი რეგ. N 01/6671

- შპს „გორმედის“ დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა;
- ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და ვასიანი ქალაქების რეესტრებიდან.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

არსებული მონაცემებით, შპს „საქართველოს რეგიონული კლინიკების“ (ს/ნ 405816513) 100%-იანი წილის მფლობელია სს „საქართველოს კაპიტალი“ (ს/ნ 404549690). სს „საქართველოს კლინიკების“ აქციების 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (ს/ნ 405746634). თავის მხრივ, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციების 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს კაპიტალი“ (ს/ნ 404549690).

რაც შეეხება, შპს „გორმედის“ (ს/ნ 417876711) 100%-იანი წილის მფლობელი და პარტნიორია ფ/პ გივი სვანაძე (პ/ნ).

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:

სს „საქართველოს კლინიკები“ (ს/ნ 404476205) ფლობს:

- შპს „საქართველოს კლინიკების“ (ს/ნ 402290677) 100%-იანი წილს;
- შპს „წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო“ (ს/ნ 221269963) 66.7%-იანი წილს;
- სს „ემერჯენსი სერვისის“ (ს/ნ 401984965) აქციების 85%-ს;
- სს „პედიატრის“ (ს/ნ 200104840) აქციების 100%-ს;

როგორც სააგენტოში წარმოდგენილ შეტყობინებაშია მითითებული, კონცენტრაციაში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტებიდან კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე საქმიანობენ შემდეგი სუბიექტები: სს „ვიანი“ (ს/ნ 402295716), შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“ (ს/ნ 212841424), შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“ (ს/ნ 404925747), შპს „წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო“ (ს/ნ 221269963), სს „ევექსი“ (ს/ნ 405670000), სს „პოლიკლინიკა ვერე“ (ს/ნ 404548156), შპს „მკურნალი 2022“ (ს/ნ 200079654) და შპს „კროლ მედიკალ ქორფორეიმენ საქართველო“ (ს/ნ 400386042).

კონცენტრაციაში მონაწილე პირები ასევე უთითებენ, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან წილები არ შეუძენიათ.

კონცენტრაციის ფორმა:

განსახორციელებელი კონცენტრაციის ფორმა არის წილზე საკუთრების უფლების მოპოვების გზით ეკონომიკურ აგენტზე სრული ერთპიროვნული კონტროლის მოპოვება. კერძოდ, განსახორციელებელი კონცენტრაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს სს „საქართველოს კლინიკების“ მიერ შპს „გორმედზე“ ერთპიროვნული კონტროლის მოპოვება მისი 100%-იანი წილის საკუთრებაში მიღების გზით. მხარეთა განმარტებით, აღნიშნული შედეგის მიღწევა რამდენიმე ეტაპის გავლით, ტრანზაქციების ერთობლიობის შედეგად მოხდება. კერძოდ, თავდაპირველად სს „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილი კომპანია - შპს „საქართველოს რეგიონული კლინიკები“ (ს/ნ 405816513) შეისყიდის შპს „გორმედის“ 100%-იანი წილს. შემდეგ, სს „საქართველოს კაპიტალი“, როგორც სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (ს/ნ 405746634)

აქციონერი, ამავე კომპანიის (სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“) კაპიტალში შეიტანს შპს „საქართველოს რეგიონული კლინიკების“ 100%-იან წილს. ამ პროცესის დასრულების შემდეგ კი, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ შპს „საქართველოს რეგიონული კლინიკების“ 100%-იან წილს შეიტანს სს „საქართველოს კლინიკების“ კაპიტალში.

მხარეთა განმარტებით, ყველა ჩამოთვლილი ეტაპი დასრულდება დროის მოკლე მონაკვეთში - მხარეთა ვარაუდით არაუგვიანეს ორი თვის ვადაში და მათი საბოლოო მიზანია სს „საქართველოს კლინიკების“ მიერ შპს „გორმედზე“ კონტროლის მოპოვება.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაციის მიზანია, შიდა ქართლის რეგიონში მძლავრი რეფერალური ცენტრის ჩამოყალიბება. რომელიც უზრუნველყოფს მძიმე პაციენტებისათვის მკურნალობის უმაღლესი საფეხურის შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ რეფერირების (პაციენტთა გადამისამართების) ნაწილში, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ გორი წარმოადგენს ქვეყნის გეოგრაფიულ ცენტრს, აკავშირებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონსა და თბილისს. ამასთან, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა შედგება 429.7 ათასი, ხოლო შიდა ქართლის კი - 242 ათასი ადამიანისგან, რომელთაც არ აქვთ სრული ხელმისაწვდომობა მაღალტექნოლოგიურ სერვისზე, რომელიც მკურნალობის პერიოდში, დაავადებების ადრეული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის შეუცვლელი კომპონენტია. შესაბამისად, აღნიშნული რეგიონების მაცხოვრებლები იძულებულნი ხდებიან საჭირო სერვისის მისაღებად მიმართონ თბილისის სამედიცინო ცენტრებს.

კონცენტრაციის შედეგად, სს „საქართველოს კლინიკები“ გეგმავს ფინანსური რესურსის იმგვარად მობილიზებას, რომლის მიზანი იქნება მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRI) აპარატის შესყიდვა. MRI თანამედროვე, უმტკივნეულო და არაინვაზიურ, რადიოლოგიური კვლევის ყველაზე ინფორმაციულ მეთოდს წარმოადგენს მედიცინაში და მისი არსებობა, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის, გაზრდის აღნიშნულ სერვისზე ხელმისაწვდომობას. ასევე, იგი ხელს შეუწყობს სამედიცინო მომსახურების ადგილობრივ დონეზე გაუმჯობესებას, რეფერირების სისწრაფეს (კერძოდ, სამცხეში მცხოვრებ პაციენტს აღარ მოუწევს თბილისში გადამისამართება/ჩასვლა დროული დიაგნოსტიკისთვის), რაც არსებულ პირობებში ვერ ხორციელდება. ამასთან, ეფექტურად იქნება უზრუნველყოფილი ადრეული დიაგნოსტიკა და პაციენტის მკურნალობის მონიტორინგი ე.წ. ოქროს შუალედში, კერძოდ, დროის კრიტიკულ მონაკვეთში, რომლის განმავლობაშიც დროული ქირურგიული ჩარევა უზრუნველყოფს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრევენციას. თავის მხრივ, გორის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კონცენტრაციის შედეგად განვითარდება სამედიცინო ტურიზმი.

კონცენტრაციის შედეგად, სს „საქართველოს კლინიკები“ გეგმავს რეგიონის მოსახლეობისთვის გააუმჯობესოს არსებული სერვისები და დანერგოს/განავითაროს იმგვარი ახალი მომსახურებები, როგორცაა ნეიროქირურგია, ინსულტის მართვა, ქიმიოთერაპია, ნევროლოგია, ნეირო-ონკოლოგია, ოფთალმოლოგია. ინსულტის მართვის ფარგლებში, შესაძლებელი იქნება პაციენტების მეტად ეფექტური მართვა, განაწილება და რეფერირება. თრომბოლიზისის სერვისის განვითარება და პაციენტის დროული, კერძოდ, ზემოთ ნახსენებ „ოქროს შუალედში“ მიღება, შესაძლებლობას მოგვცემს ეფექტურად, ადგილზე (დედაქალაქში რეფერირებისგან დამოუკიდებლად) იმართოს დაავადება/დიაგნოზი. კონცენტრაციის შედეგად შესაძლებელი იქნება, ასევე ენდოვასკულური ცენტრის მოწყობა (ნეიროქირურგიის ფარგლებში)

და ადგილზე რთული ოპერაციების დროული კეთება. აღნიშნული სერვისების დანერგვის ეფექტი საბოლოო ჯამში მიემართება ინსულტის მართვის სახელმწიფო პროგრამის მიზნის მიღწევას, კერძოდ, მნიშვნელოვნად შემცირდება, როგორც ინსულტით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ასევე ინვალდიზაციის ხარისხი. ამასთან, ამავე პაციენტების შემდგომში მეთვალყურეობა, მკურნალი ექიმის დანიშნულებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება ქსელში და ადგილობრივად არსებული პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიერ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხელი შეეწყობა პირველადი ჯანდაცვის განვითარებას, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან იგი თავისი ფუნქციით წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და შემდგომი გაუმჯობესების ძირითად რგოლს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი მაქსიმალური ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის. პირველადი ჯანდაცვა, მოიცავს დაავადებათა პროფილაქტიკას, ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და გაუმჯობესებაზე მიმართულ ღონისძიებებს, მოსახლეობის განათლებას, დაავადების პროფილაქტიკისა და ზოგადად ჯანმრთელობის შენარჩუნების შესახებ სერვისებს. შესაბამისად, კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენს, როგორც პირველადი ჯანდაცვის, ასევე, მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და შესაბამისად, ხარისხზე ორიენტაცია. ახალი სერვისების დანერგვა, რეგიონებში ხარისხიანი სამედიცინო სერვისის დეფიციტის პირობებში, ბუნებრივია, გამოიწვევს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, განსაკუთრებით ისეთი მოწყვლადი კატეგორიისთვის, როგორებიც არიან პენსიონერები (რეგიონის მოსახლეობა, როგორც წესი ხანდაზმული ადამიანების სიჭარბით გამოირჩევა) და იძულებით გადაადგილებული პირები. თავის მხრივ, პაციენტების სიმრავლე დადებითად აისახება, სამედიცინო პერსონალის გამოცდილებისა და კომპეტენციის/კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამასთან, ახალი სამედიცინო სერვისის დანერგვა გაზრდის დასაქმებისა და არსებული ანაზღაურების გაზრდის შესაძლებლობას, რაც რეგიონებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

კონცენტრაციის შედეგად, გარდა იმისა, რომ გაძლიერდება ლოკალური ეკონომიკა, ამასთან, შემცირდება თბილისში რეფერირების პროცენტული მაჩვენებელი და გაიზრდება რეგიონის დატვირთვა. აღნიშნული ავტომატურად გამოიწვევს ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის მიერ გამოიმუშავებული სახელფასო ანაზღაურების ზრდასაც. გარდა ამისა, სს „საქართველოს კლინიკები“ საქართველოს მასშტაბით ფლობს 27 სამედიცინო დაწესებულებას, ამასთან, სტრატეგიული და მნიშვნელოვანი სამედიცინო დარგების მიხედვით ჰყავს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული კლინიკური საბჭოები, რომლებიც ორიენტირებულები არიან ქსელურად, თანამედროვე სახელმძღვანელო მითითებებთან შესაბამისი მკურნალობის პრაქტიკის/ცოდნის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, კონცენტრაციის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ქსელში დამკვიდრებული პრაქტიკის, გამოცდილებებისა და კომპეტენციის გაზიარება, რაც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება პერსონალის განათლებისა და კომპეტენციის ამაღლებისთვის. თავის მხრივ, კონცენტრაციის შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება სს „საქართველოს კლინიკებში“ დამკვიდრებული და აპრობირებული მკურნალობის მეთოდის ტელემედიცინის განვითარებაც. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, ქსელში არსებული პროფესიონალებისგან ტელე-კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული მიზნების მიღწევა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც ზოგადად რეგიონულ სამედიცინო ხარისხს, ასევე ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას, რაც თავის

მხრივ, დადებითად აისახება ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი, თუმცა რეგიონის დონეზე დეფიციტური ხარისხიანი, პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევაზე.

კონცენტრაციის შემდგომ, ასევე, დაგეგმილია, გორის სამედიცინო დაწესებულების საუნივერსიტეტო კლინიკად ჩამოყალიბება (სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შედეგად) და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკული ცოდნის შეძენასა და პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა. რაც გამოიწვევს: დიპლომამდელ, დიპლომისშემდგომ და უწყვეტ პროფესიულ განათლებაში თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას, სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას, საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო კურსებისა და/ან სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას, უნივერსიტეტებისა და სამედიცინო დაწესებულების ინსტიტუციურ განვითარებას.

ჯანდაცვის სამინისტრო რეგიონების ჭრილში ცდილობს გაზარდოს დეფიციტურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, თუმცა არარენტაბელურობიდან გამომდინარე, საკმაოდ გართულებულია კვალიფიციური კადრების მოძიება. კონცენტრაციის შედეგად, გაჩნდება მეტი რესურსი კომპანია მობილიზდეს სწორედ ამგვარი სერვისების მიწოდებაზე, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პაციენტებისთვის და რომლებიც ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისში რეფერირების შემთხვევაში.

კონცენტრაციის შედეგად პაციენტისთვის ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო მომსახურებების ფართო სპექტრი, გაუმჯობესდება სერვისების ხელმისაწვდომობა (კერძოდ, გათანაბრდება სერვისებზე ხელმისაწვდომობა თბილისსა და რეგიონებში) და ასევე, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

მხარის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გაჩნდება მკურნალობის უწყვეტობის შესაძლებლობა, კერძოდ, ის დაავადებები/მდგომარეობები, რომლებსაც უკავშირდება ქართველი პაციენტების უცხოეთში გადინება, კონცენტრაციის შედეგად შემცირდება რაღვან, დაგეგმილი კონცენტრაცია შექმნის ახალ და ხარისხიან (მათ შორის დეფიციტურ) სერვისებზე ხელმისაწვდომობას რეგიონის მოსახლეობისთვის.

შეტყობინების დანართის სახით, მხარემ წარმოადგინა 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმა შემდეგი სახით:

- 2026 წელი -
- 2026 წელი -
-);
- 2026 წელი -
- 2026 წელი -
- ;
- 2026 წელი -
- 2026 წელი -

- 2027 წელი

- 2027 წელი -
- 2027 წელი -

მხარის მოსაზრებით, კონცენტრაციას ბაზარზე არ ექნება უარყოფითი ეფექტი. პირიქით, იგი ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდას, დარგის სპეციალისტების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, თბილისში რეფერირების საჭიროების შემცირებასა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

დაგეგმილია არსებული სერვისების გაფართოება და გაძლიერება, მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესზე მუდმივი ზრუნვა. შენარჩუნდება და კიდევ უფრო გაძლიერდება კლინიკის არსებული საკადრო რესურსი. დაგეგმილი პროექტების ფარგლებში განსაზღვრულია სხვადასხვა სამედიცინო დარგის განვითარების პოტენციალის გაზრდა, რაც გულსისხმობს პროფესიული კადრების მომზადებასა და გადამზადებას.

მხარის მოსაზრებით, გარიგება, თავისი მიზნისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის ხარისხს, გაზრდის პაციენტთა მომსახურების სტანდარტებს, ამასთან ერთად გააძლიერებს დარგის სპეციალისტების ცოდნასა და კომპეტენციას. შედეგად, სამედიცინო დაწესებულება კიდევ უფრო განმტკიცდება, მიიღებს რეფერალური ცენტრის ფუნქციას და უზრუნველყოფილი იქნება მაღალტექნოლოგიური კვლევების ხელმისაწვდომობა, რაც ამჟამინდელ პირობებში არ არის შესაძლებელი.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც, კერძოდ, მითითებულია, რომ მხარე ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიიჩნევს სამედიცინო მომსახურების ბაზარს. რაც შეეხება კონცენტრაციის გეოგრაფიულ ბაზარს, შეტყობინებაში მითითებულია, რომ მხარეთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, ასეთად უნდა განისაზღვროს ეროვნული დონე - საქართველოს ტერიტორია. რაც შეეხება დროით ჩარჩოს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი ბაზარს არ გააჩნია, ვინაიდან, საქმიანობა არის მუდმივი.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და

განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11¹ მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შემენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემქმენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;
7. კანონის 11¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
8. კანონის 11¹ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;
 - ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
9. კანონის 11¹ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11¹ მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი

კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;

11. კანონის 11¹ მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს;
14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.²

განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნების, კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საქმიანობის სფეროსა და სააგენტოს პრაქტიკის გათვალისწინებით³, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, განსახილველი კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

ვინაიდან, პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამის ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის გამოთვლის მიზნით, სააგენტომ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის სტაციონალური მომსახურების ბაზარზე გამოითვალა საწოლ-ფონდების რაოდენობის მიხედვით, რისთვისაც სააგენტომ გამოიყენა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.⁴

² კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

³ იხ. სააგენტოს გადაწყვეტილება „შპს „ჯი ემ ეს სი საქართველოს სამედიცინო სერვისების კომპანიასა“ (ს/კ 405546002) და შპს „მედეაპიტალს“ (ს/კ 205218030) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/php657hpi.pdf; სააგენტოს გადაწყვეტილება სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა“ (ს/კ 211328703) და შპს „გნ კოს“ (ს/კ 204964887) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/932de840af6e4c4db6c43e52454bc23b.pdf; სააგენტოს გადაწყვეტილება შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ (ს/კ 404907730) და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურს“ (ს/კ 406055879) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpFgXcH4.pdf; სააგენტოს გადაწყვეტილება „შპს „მედეაპიტალისა“ და შპს „მედისონ ჰოლდინგს“ შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“, https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/1599afd6223d41eb9e14c5c4d8eda85f.pdf.

⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 18.09.2025 წლის N MOH 4 25 01047889 წერილი (სააგენტოში რეგ. N 01/5543).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში 2024 წლის განმავლობაში მოქმედებდა 169 სტაციონარული სამედიცინო დაწესებულება, რომელთა საწოლ ფონდების ჯამური მოცულობა შეადგენდა 16 257 საწოლს. კონცენტრაციის განხორციელებამდე ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გაუტოლდა $HHI=310.31$ ერთეულს, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. შპს „გორმედის“ საბაზრო წილმა შეადგინა %, ხოლო სს „საქართველოს კლინიკების“ ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და მათი ფილიალების ჯამურმა საბაზრო წილმა შეადგინა %. კონცენტრაციის განხორციელების შემდგომ კონცენტრაციის ინდექსი გაიზარდა 345.45 ერთეულამდე, შესაბამისად, ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი (ΔHHI) შეადგენს 35.14 ერთეულს.

კონკურენციის სააგენტომ, შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსისა და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის გამოთვლის მიზნით, დამატებით სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსგან გამოითხოვა ინფორმაცია ქვეყანაში 2024 წელს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების (როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მიმართულებით) მიერ ასანაზღაურებელი/ ანაზღაურებული თანხების ინდივიდუალური ოდენობების შესახებ.⁵ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციით, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 311 ეკონომიკური აგენტი, რომელთა ნაწილიც, თავის მხრივ, ოპერირებას უწევდა რამდენიმე ფილიალს/სამედიცინო დაწესებულებას. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყანაში 2024 წელს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების (როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მიმართულებით) მიერ ასანაზღაურებელი/ ანაზღაურებული თანხების საერთო მოცულობამ შეადგინა **1 256 714 702.51** ლარი. აღნიშნულიდან შპს „გორმედის“ წილი შეადგენდა ლარს (ბაზრის საერთო მოცულობის %-ს). რაც შეეხება სს „საქართველოს კლინიკების“ ჯგუფში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების ჯამურ წილს, მან კონცენტრაციის განხორციელებამდე შეადგინა %. კონცენტრაციის განხორციელებამდე ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსი გაუტოლდა $HHI=365.93$ ერთეულს, რაც ასევე დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის შემდგომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი მცირედით, 27.22 ერთეულით იზარდა, რის შემდგომაც კონცენტრაციის მაჩვენებელი შეადგენს $HHI=393.15$ ერთეულს.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ სს „საქართველოს კლინიკების“ (ს/ნ 404476205) მიერ შპს „გორმედზე“ (ს/ნ 417876711) ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

⁵ სააგენტოს 03.11.2025 წლის N02/5525 წერილი.

⁶ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 ნოემბრის NHA 2 25 01305667 წერილი (სააგენტოში რეგ. N 01/7059).